

საქართველოს მთავრობის

განკარგულება №2023

2011 წლის 13 ოქტომბერი

ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის 2011-2014 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა და „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის № 172 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო სტრატეგიის 2.2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017წწ. სახელმწიფო სტრატეგიის 2011-2014 წლების სამოქმედო გეგმა.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ამ განკარგულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 16 ნოემბრის N1448 განკარგულება „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017წწ. სახელმწიფო სტრატეგიის 2011 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური